

1920/2



№ 6 გაუზიარებელი თანხისთვის სელექციონის  
თანხისთვის სელექციონის  
გაუზიარებელი თანხისთვის  
დამოკრებიული რისკობლივას!



ფასი 10 მანეთი

# „თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი — 10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4-73.

ბარსების წელიწადი მეთე, გამოცემის მერვე  
ბტრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ.



კვირა, თებერვლის 15



გაქრება 1920 წ.

სალაგი დავით კლინაშვილს!  
(30 წ. მოღვაწეობის სახსოვრად)

38  
1920/2

19515  
19515



დ. კლიაშვილი



დღეს ჩვენის მწერლობის, თეატრისა და საზოგადოებრივ ცნობიერების მზე ნეტარად გაიცინებს.

მიზეზი — დავით კლდიაშვილი!

როგორც მზის პირველი მოციმციმე სხივები, ანკარა წყაროს ჩუხჩუხი და უმანკო ტყის ნაზი სიო, უქანასკნელ ოცდაათის წლის განმავლობაში ისე გველამუნებოდა დ. კლდიაშვილის გრძნობა-გონების მონარტუქი.

იგი ერსა ჩვენსა მოუწოდებდა გამოფიზღების, გააღამიანების, სიყვარულისა და ამაღლებისკენ...

ოცდაათის წლის განმავლობაში ჩვენის ხალხის ცოდვას ლეთიურ ცეცხლში სწევდა, რომ განახლებული საქართველო ეხილნა!..

და, ამა, ელისა!

მკვდრებითი აღმდგარი საქართველო დღეს მაღლიან შუბლსა მისსა ეამბორება.

და კლდიაშვილი ღირსია ამისი!

დაიმსახურა!

მისი ნაღაწი ჩვენის მწერლობა-ხელოვნების ფსალმუნის ერთი მშვენიერი მუხლითაგანია!

ამიტომაც „თეატრი და ცხოვრება“ წრფელის გულით უძღვნის საღამოს როგორც დ. კლდიაშვილის ისევე მისს მშობელ ერს.

დაე, მაღლი მისი ნუმც დაიშრიტება თავისუფალ საქართველოში!..

იოსებ იმედაშვილი



## ჩემს საგოგლოს

ჩემო სამშობლო. ჩემო მს რე. ტურფა იყურა!  
ისევე ჰქონია, ვით ჰქონდა დიდ თამარის დროს!..  
ბევრჯერ დატკრადა თავს გრიგადა სიბუღისწერა,  
მაგრამ გაღურნა და დღეს გულმა გათ ან ამღერას?..

ველაღ დატკარე რჩეულთ შორის შუენი ადგი, ველაღ ქართველთა სიხარულის გრძნობამ დაფარა, დღეს აღაზარე უცხოთ მონა, უღარსია ბარგი, დღევით სმურთაბს ჩვენი დაჯი, ჩვენი ნდარა..

თეთრი მხედარი დღეს შუენ ტყე ველთ სწრაფად მღალახავს, და ვიღით-ვიღეს გეტყვის ამავს სსსიხარულის, ღალი მგოსანი ჩანეს აიღებს, წვირას მონახავს, გრძნობით დაგმურებს უცხო აკარდს სსსიხარულის!..

ბ. პელაშვილი



## სრავლით მოუხინარი

დ. კლდიაშვილი

ვინ რა იცის, რომ ედომე მკვდარი, რომ სიცილი ზოგჯერ მღზე მწარია!..

აკაკი

გინდათ ჩვენი ოღრო-ხოღრო, ჩამორჩენი უფიცი, კრუმორწმუნე და მიანც თვისი რწმე ძლიერი სოფელი ნახათ?—ჩახიედეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობებში.

გინდათ ვაიცნოთ ჩვენი გუდა-მშოიერი, ყოყინა „არის მკოდნე არის მკონე“, ცხოვრებისეულიდან გაყალბებული, ჩაჩაკა აზნაური?—შეხედეთ დავით კლდიაშვილის გამოქანდაკებულ ხატებში...

გინდათ ხელოვნური სინამდვილით დასტკბოთ, იხილოთ, იხილოთ, ხოლო როცა ჩაფიქრდებოდათ, სიმწვევე განიცადოთ და გულიდან ამოგსკედეთ: „ეს რანი ვყოფილეთ?“ და განახლების, გააღამების გზა ეძიოთ?...

წაიკითხეთ დ. კლდიაშვილი, მოისმინეთ კლდიაშვილი, იხილეთ სცენაზე კლდიაშვილი.

მაშ გავიგოთ, ვინ არის ეს ჯადო-ადამიანი, არის ის, რომელიც კრემლნარეგ ნადგელოთ იცნის და ამ სიცილით მსურს ბეჩაფი აღამიანი ამოღოს, განკურნოს?

ეს არის დავით სამსონისძე კლდიაშვილი. 1862 წ. ენცი. 28 ს. სიმონთში. გაათავა კლდიაშვილის სამხ. გიმნაზია, შემდეგ მოსკოვის სამხ. სასწავლებელი და 1882 ოციერად გამოვიდა. მსახურით სამხ. სამს. ბათომში 1908 წლამდე. ამ წლებში მათერობამ სასმსხურიდან გადააყენა. 1914 წ. ხელოვნებაში გაიწვიეს ჯარში და მიეღი ომი სამსახურით დატკუ. ქართულ ნაწილების შედგენის დროს ქართველთა სათადარიგო რაზმში გადმოვიდა. 1918 წ. ოციერად გუდრით გაიგზავნა ბათომს, აქედან—აკარა წყალზე; ბათომის დამხობის დროს უქანასკნელი გამოვიდა ბათომიდან მარტის 31. მისი პირველი ნაშრომი იყო გერმანულიდან ნათარგმნი (დაიბეჭ. თბ. „მნათობში“ 1883 წ. სამსონის ფსევდონიმით) პირველი ორიგინალური მოთხრობა დაიბეჭდა „მთაბე“-ში 1894 წ. აქ დაიბეჭდა თითქმის ყველა მისი მოთხრობა.



ვალერიან შალიაშვილი

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. სი მოთხრობები. ცალკე გამოცემა მოთხრობანი 1901 წ. 1911 წ. ბათუმში მ. კლანდამემ გამოცემა მისი ნაწერების ორი ტომი. მზადდება ახალი გამოცემა. დაწერილი აქვს პიესები. „იონის ბედნიერება“, „დარისანის ვასპირი“, „უბედურება“. თუმცა ბევრი მწუხარება გამოიარა, მინც ახალგაზდური აღტაცებით შეპყრობის თავისუფალ სამშობლოს, რომლის კეთილდღეობას და ამაღლებასაც ამსახურა თავისი ძალღონე. მეოჯახება და მისი უფროსი შვილიც მწერლობას. იუბილეს უმართავს ქართველ მწერალთა კავშირის თაოსნობით მთელი ქართველი ერი.

ვაშა მის ნაშრომს! დღეგრძელობა ჩვენის მწერლობის მშვენებას!

იოსებ არმათიელი



# ფ შ რ ც ლ ე ბ ი

## II

### დ. კლდიაშვილი

„ნახსნი აღძრული იყო რაღაც ახალი აზრი“.

ყოველ გარდამავალ ხანას თავისი მრავალნაშენელოვანი მხარე აქვს.

როცა განსაზღვრული დროგადასული სოციალური ფორმა ისტორიას ჩაბარდება და მის მკვირ ამოცანებას იწყებს ახალი ურთიერთობა, ამ დროს ეს გარდამავლობის სამკვიდრო-საბიოცნობო პროცესი დიდ ტვირთებს იწვევს, როგორც სოციალურ ფორმაციებში, ისე ინდივიდუალთა ფსიხიურ განწყობილებაში.

აუწერელი და ტრადიციულია, ზოგჯერ კომიზით სავსეც, იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომელთაც თავიანთი სიცოცხლის საუკეთესო დღენი გაუტარებიათ ძველ საზოგადოებრივ წყობილებაში.

მათი აზროვნება, ნებისყოფა, მთელი სულიერი მუშაობა, ახალთან შედარებით, პრიმიტიულია. მათგან რეალობაში მყოფი ერთეულები და საერთოდ მთელი წრეც საშინელ ტრაგედიას განიცდის.

დაიშალა ძველი დასაყრდნობი ბაზა და აქ დაიწყო წარმოშობა ტრადიციონის მრავალ ფეროვნება სურათებში.

ასეთი გადახალისება, ახალი ერა, საქართველომ განიცადა კაპიტალიზმის შემოქრით.

ფეოდალიზმის დამბობის სტიქიური პროცესი ლიბერული განვითარებით შემოიჭრა ჩვენში და აფრიალდა ახალი ევოლუციური დროშა კაპიტალიზმის მიმდინარეობისა.

ორი ძალა ერთი მეორეს დაიჯახა. ამ ჭიდილში ბუნებრივი აუცილებლობით გამარჯვებული უნდა დარჩენილიყო ახალი ფორმა საზოგადოებრივ ზედნაშენისა.

ფეოდალიზმი, როგორც სოციალური ტყაბი, ჩაბარდა ისტორიის არქივს, მაგრამ მისი წვლის სიღრმეში გაბატონებული მთელი პრივილეგიური წრე ხომ ფიზიკურათ ვერ გადაშენდებოდა.

და ეს გადაშენებული წრე იყო ის თავდა-აზნაურობა, რომელსაც შერჩა ძველი ფეოდალური ტრადიციები, მორალი და სხ. და როგორც ცოცხალი არსნი სულთ დაობლებულნი გადავიდნენ ახალ ფორმაში.

ეს მომენტი იყო როგორც სოციალური დუალიზმი ისე ფსიქოლოგიურიც.

ჩვენმა ლიტერატურამ ეს რუბიკონი რაცდენიმედ გადმოგვცა სხვადასხვა სახით.

ურყოფელ წრეში წარმოშობილ ინდივიდუალთა ფსიქიური გადატრეხვა, ტანჯვა-წავლება, სიყვდილის პირზე დღობა და საერთო აგონია თ. კლდიაშვილმა თავის ფხიანი კალმით შეანიშნავე უწარმო გადარევიშალა, მხატვრული ფერადობით დავისურაათა.

და კლდიაშვილმა დაინახა რა ამ ხალხის უნუგეშო მდგომარეობა, სიბრალულით დუხაზოვდა მათ. და რეალური დახასიათებით ვაგვაცნო მათი ტრადიციული სახე.

და მართლაც... ეს კაცო... სწორით შევიტყობდებოდა კაცს, რომ თვით ამბავე სასაცილო არ იყევს“.

და ასეთი დახასიათებით დ. კლდიაშვილი მგნობიერ მკითხველს ერთი თავლი ატარებს მეორეთი კი აცინებს.

და, როგორც გულჩვილი ჭირისუფალი, აცილებს საფლავადან ამ ცოცხალ ლეშებს.

„შქიულს არ სცემენ“ და კლდიაშვილსაც არ უნდა სცემოს მათ ის მხოლოდ ავიწერს მათი ტანჯვა-წავლების ცოცხალ სურათებს. და აქ დ. კლდიაშვილი ძლიერი შემომქმედა ქართულ ლიტერატურაში, ნაციონალურ ტიპებს და დახასიათებაში.

ცოცხალი ადამიანი რაც უნდა ურყოფილი იყევს ახალი საზოგადოებრივ წყობილებიდან, მინც ეტყობარს არ იტენს და ცდილობს ცხოვრების საძიებელზე დასაყრდნობი წერტილი გამოიხანოს, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს.

და სწორით დ. კლდიაშვილის, ცხოვრებისგან უარყოფით, გმრებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ: უშინარსო სიცოცხლე ასულდგეფილი.

მაგრამ ცხოვრება მძაფრია, ცვი და დაუნდობელი. სიკვითრა ცხოვრების ყოველმხრივი შეშენება, რომ მის ზვირთეს ვაყვებ და საყოთარი შე- შეინარჩუნებო.





ივანე გამარაშვილი

ენობილი წყარალი, საზოგადო მოღვაწე და ეროვნულ იდეის ერთი დაუკნობელი მებრძოლთაგანი. არჩეულ იქმნა დამფ. კრების სახელოვნო კომისიის თავმჯდომარედ.

და უფრო მეტად მძიმე ცხოვრებასთან ბრძოლა, თუ იარაღი ბრძოლისა და მოაფლმხედველობა ძველი აქვს ადამიანს. ასეთს დროს მებრძოლი საცოდავ სახეს იღებს.

დ. კლდიაშვილის ტიპებიც აქ იარაღი საცოდავი. კაპიტალიზმის ბუნება მათ ვერ ითვისებს. ისინიც კაპიტალიზმის კანონებს ვერ უტევენ თავსა და ბოლოს და იქნება დიდი კონტრასტი, რომლის ტრალ-კომიკური სახეებიც დ. კლდიაშვილის ტიპთა მთელი გალქრიაა.

სოლომონ შორბლაძე „ოკრი გროშის მისაპოვნელად“ მ. ქაჩიაშვილის „ხელაშობ“ გახდის, „რეკლამი“ მისი ერთად ერთი მეთოდი და იარაღი ბრძოლისა.

შვებამ აქ კაცის მთელი ცხოვრება მინც უმიდლო თავივება. ცხოვრება მას, როგორც სუსტ ქიას, სარკასტიულად დასცინის, და დ. კლდიაშვილს მადლიანი კალმის წყალობით მართლა სასაცილოა, შვებამ ამასთან სტირალიც.

დ. კლდიაშვილი შეუდარებელია, როცა თვით მდგომარეობას ბუნებრივ სახით გვიხატავს, შვებამ, როგორც ადვოკატი, ადამიანი თუ ცოცხლობს და ახროვნებს, მუდამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზას იპოვებს.

და დ. კლდიაშვილი ეს ახალი ჩანასახის გამოშვრთალი სხივებიც არ დატოვა უწყრადლებოდ. ვადაშენების ნაპრაღის წინ წარმომდგარი თავდადებულ ურობის მთელს წრეს თუ არა, მის დაშინჯვლის ნაწილს მინც უნდა აეღო ალბო ახალ ცხოვრების მსვლელობისთვის და ასეთს ალღოი. ნობას ჩვენ ვხედავთ „ქაშუშუშის გაქვრების“ აღწერაში.

აქ დ. კლდიაშვილმა ბუნებრივ განვითარებით მივვიყვანა ქაშუშუშის მძიმე, ჩაგვიხდა მის დახვეწილ სულში და იქ მკითხალი სხივი დაგვიხანება, რომელიც იძლევა საბუთს, რომ ადამიანი თანდათანობით იგნებს დუბჭირ მდგომარეობას და მისდა უნებურად ითვისებს ახალ გზამას მთელ ვალში არსებობისთვის.

დ. კლდიაშვილი გველაპარაკება ქაშუშუშებზე, რომ მისში, „აღძრული იყო რაღაც ახალი აზრი“ და ეს „ახალი აზრი“ კაპიტალიზმის შემოქმედის გავლენით ხდებოდა. ქაშუშუშის დაბეჩავებული სულის მოძრაობამ ახალი ორიენტაცია მიიღო და ეს ორიენტაცია იყო მღელვარე ქალაქისადმი ბუნებრივი ლტოლვა. ქაშუშუშმაქს „მისი ოჯახის ამბავი სულ სხვანაირად მოიქცენა“.

და ეს „სხვანაირად მოიქცენება“ რეალური სიმბოლო ქალაქის შორეული სილუეტებიც იყო.

სენაში ოპტიმიზმის სხივები მოჭვნია, თითქმის გაქრა პესიმიზმი, იდეალი დაისახა, გვამა გამოიმუშავა ეგვიპტის (ქალაქში) ეშველოს კაცს.

როცა ქაშუშუშე ამას ლაპარაკობს, მკითხველს მინც და მინც ქაშუშუშე არ ეხატება დიდ მებრძოლ გმირად. სოფელში ეკონომიურად დასუსტებული, დაბეჩავებული სკეპტიკად ქვეულა. და თუ ქალაქისკენ მივშურება, მან ისიც იცის, რომ პისი გაქვრება იქაც წაყვება, და იქ შექმნა ცხოვრების ორომე რაალი მავრად ჩასკიდებს თავის უღობილ კლანჭებს და ამისთვის ის მწარე სევდილი უფრთავს „ეგვიპტე“.

ქაშუშუშე არ არის რელიგიოზური სული, რომ ვანყენებულად რწმენას ისახავდეს, ყველაფერი შესაძლებლად მიჩნდეს და მომავალი იდეალურად ესახებოდეს. დ. კლდიაშვილის ტლანტი კიდევ მეტად აქ უნდა იქნას დაფასებული.

კლდიაშვილმა ნწარს და ნათელი სახით განავითარა ჩვენ თვალწინ იდეალისტრიკალ რ მუშის წარმოშობის ყოველმხრივი მიზეზები, და ამასთან მის ფსიქიკის მოძრაობის ნათელი დეტალებიც ლამაზად აქინდა.

აქ ოტია ქაშუშუშეც ვაიციონ „სონას“ და „პორფილე ბაშვილეს“ და როცა ვინებდა უკარნახებს „ეგვიპტე“, ეს ბუნებრივია, რადგანაც ქალაქში ის ისევ საწყალად დარჩებოდა, იმ განსხვავებით, რომ შეითვისებდა ახალ ფორმას, კოლექტიური მოძრაობას. შვებამ ამ უკანასკნელის აღწერამდინ დ. კლდიაშვილი აღარ მიიღის. ის უწყობებს ანალიზს სოფელში წარმოშობილ ტიპებს, მათ აწეობებს კატეგორიებათ, უკარგის ნაწილს სოფლად სტოვებს, რომ თავისი ბუნებრივი სიყვლით გაქვრდეს, და მის მეორე ნაწილს, მგავსად ქაშუშუშისა, ქალაქისკენ ისტურებს.

კლდიაშვილის სოფრამ ქინჯაძეც აშკარად ლაპარაკობს კოლექტივიზმის დადებითი მხარეებზე „სადაც მეტი ხალხია, იქ მეტიადინი კაცისთვის უფრო შემთხვევიც მტრია იმონის რამე“. ამ „რამეს“ როგორ იშოვის ადამიანი, ეს ხომ ქალაქის უდიდესი გამოცანაა, რომლის ასახენლად კლდიაშვილი არ მიიღის.

დ. კლდიაშვილმა მრავალ „მეზობლეობაში“ ერთად, თავისი ოტია ქაშუშუშეც დაახსალა ქალაქში, იმ ქალაქში, სადაც „უშოვევლად იზიდავდა და იტაცებდა ოტიკის სულს.“ ესენი ჯერჯერობით არც ქალაქში სწრაიან და სოფელში ჩვეულებაც მებოვრებნი უდარაჯებენ დროს, რომელიც სრულიად უნდა ვაგაქანონ იგინი ქალაქში და დაგეშოს ახალი ცხოვრებისთვის.

ეს „გაქანა“ უკვე მოხდა, და კიდევაც დაიგეშენ. დღეს, როგორც ოტია ისე მისი შვილები, ახალ ცხოვრებენ „სოფლიურ ჩვეულებას“, აირადე ეხსენებენ ქალაქის ტრიაშულს, და გარდაიქმნენ ახალ სახეებათ.

და ქალაქის შკოსანი ი. ევლიშვილი მთ, შკოსის სტიქიაში ჩამბულთ, აქ უმღერის:

„შეხედ ქალაქს, შეხედ სოფელს, შენ გააკეთე ეს ქანდ ეება; მას შენი ოფლის ბეჭე აზის, მას შენი სული თავეუ ევლებს; მავტამ ვისი?...“

და ეს საშინელი შეკითხვა „ვისია?“ მუდამ ყურში გასწრები მრავალ ქაშუშუშებს და მისს მზავსებს. და დღეს ამ ახალმა ძილამ უკვე იცის, როგორი პასუხი მისცეს ასეთს შეკითხვას. და ეს კლდიაშვილი საძირკვლად დაედო საქართველოს განთავისუფლების იდეიას.



ო. ს. კალანდაძე - ავსოვისა

საოპერო მსახიობქალი. მისი ბენეფისი ვამო (სახელმწიფო თეატრში - „ქეთო და კოტე“, თებერ. 16-ს)

საქართველოს დემოკრატია „ქაშუშაძების გაქირვევისგან“ წარმოშობილმა დღეს გაიმარჯვა, ამაყად იძახის თავის უფლებებზე და კიდევაც იცის ვინ „გააკეთა ეს ქანდაკება“...

და ამ განთავის გარიერაზე ბორკლ-ხსნილი დემოკრატია იუბილეს უხდის თავის ძვირფას მწერალს.

დ. კლდიაშვილი ბედნიერია, რომ მისი დღესასწაული ბრის იმ დროს, როცა განთავისუფლებული საქართველო განახლებულ სიოცხლეს დღესასწაულობს.

და სიამით აღვისება მომავალი თაობის გული, როცა სრულიად ჩამოყალიბებული საქართველოს ცხოვრება დამკვიდრდება, და ამ დროს გადმოვიან ბრწყინვალე ხსოვნის წიგნს და შრავალ მნათობელ სახელებთან ერთად დ. კლდიაშვილის კლარით შევირცხილი ნათელი შუბლი ლეთიური შარავანდელით იქნება გასხვივინებული.

ძ. გიგრიშვილი



# ფიქრი საპარტიულოა

## III

### დავით კლდიაშვილი

კაგობრთობის ისტორიას ახსოვს ისეთი მომენტები, როდესაც ამა თუ იმ ერის ცხოვრებას, მინაურ თუ გარეშე ზეკაფაუნისგან უდგამოდა საბედისწერა წამა: მისი ცხოვრება ეუბნებოდა, დუნდებოდა და მას ღამის შავი მრდელი და სსსწარვეთილების ჩადრი ეეიენებოდა.

მკრამ სწორეთ, აი, ამ დროს, ამ გაკითხვის ჟამს მას განკუთვნილ მოკლენობად ბოლშე იგივე დისტრუქულა წარდების დროს“, ზეკარბო მდღით ცხეუდა ზარბუნეანი, რომელთა სიტყვა, რომელთა ძახილი სსსიკვდილთ მიზნული ერს ანევედა, ადგიმედა და ჭეუნდა სიტონცხლისა და იმედის შუქს.

სწორეთ ასეთ სსსწარვეთილებისა და უიმედობის ხანას კანიდლი და შესამოგე წლების დასაწყ. სში საქართველო.

რუსეთის ბირორგანიტის ჟანდარმები უოველიე დონეს და საშუალებას ხმარობდნენ, ჩაკლათ ჩვენში უროგნული კრძობა, ეროგნული თეითმეგება, რისთვისაც

ჩვენი ცხოვრების უოველ დარგში მათ შავი ბრწყინვალე ნაკვდით.

თითქოს ერის შეგუება ასეთ უოფას, შერგვიტია თავის ხეკდრსაო - გრინდებუდი იუთ და „არსიდან ხმა, არსით ძახილი არა ისიდა“...

თუ არა იე. კერუელიე თავისი „ცისკარი“-თ, რომელიც ოდნე ბეუტუგა საქართველოს ჭობროხნტის ზირ. ქეშა ცაზე, „ქართლის ცხოვრების“ შავა მამის ძალს, მისუსტებუდი იუთ.

დებუა ბრწინვალე შესამოგე წლები. ჩვენს ერს ეგვლინება ილია, აკაცი, რაფიელა, ალ. შონხუბარიე, ვსტ. და გრ. ორბელიანება, რომელთა ღვთაებრივი სიტუე და ცნრული სიმძლერე უოკლა ღამის ბინდ-ბუნდში ბაზეველ საქართველოს და აამოძრვა იგი:

„გაიდეძეთ, ნუდა ციხანეთ, გახხილეთ უველამ თველი, გერა ხედათ რა ჭაეჭავით გვებებება წის შერცხალი“ -

გაკვირდენ ისინი.

და ერთი გამოერგვა, გამოილიეძა, მოიფხრაწა სსსწარვეთილებს შავი ჩადრი, ნელ-ნელა გამოილია სსსდათას ძაღისკან და იწუთ შეკავშირება, დარაზხვა.

იღას და აკეის მოვეა შრავალი ნიჭაერი მწერალი და მოღაწე... დაიწყო ქართულ ცხოვრების და ლიტერატურის აღორძინების ხანა.

ერთი ამ ნიჭაერ მწერალ-მოღაწეათგანი კახლავსთ დღეე ხელები თუბილარი, დეწლით მისილი დავით კლდიაშვილი.

იგი, სხეუბთან ერთად, 30 წ. განხვალბაში თავდალებით ემსახურა თავის მამულს მისივე მონობის დროს და ქართველ ერს შუქმ-უოქე მისივე ხეკდრი მონობისა.

მის ნიჭურად გადაშადა ქართველი კაცის გულის ნაღები და შესანაშრავი ფერადებით დაკვირვართასტა ჩვენს ცხოვრების შრავალი სურათი...

როდესაც მინობის დროს ასეთ ზეიმს უმართავდით რომელს მე ჩვენს მოღაწეს, ამას ორხანარი მნიშვნელობა ჭქონდა. ზირველი ის, რომ ჩვენ ამითი მას ზატეის გეგმ-დით, ამსთახვე ვევიცნობდით, რომ არ უდალატებთ მისს იღაქს, მის სულის სწრაფას, ფაქრს შავ თ მღელვარეს „ქართლის ბედა“-თ გამოწვეულს, ვიბროლობდით ქაჭეთის ცინის ასაღებთ და ნესტან დარგუნის გამოსასხხნელად. მეორე ის, რომ ამით ჩვენ დრმა შროტატს და აღმოეთავის უცხვადებდით ჩვენს სულთამხუთავებს, ჩვენს მტარველებს.

ჩვენი ფიცი დირსეულად შევსრულეთ, ქაჭეთის ცინე დაეანგრიეთ და ეთეროფანი ნესტან-დარგუნი გავნათაისუფლეთ.

ერთი გამართავანი და მეურძლიე ღვაწლ-მოსილი დავითიც არის.

და მისთვის გამოთუქმული ბედნიერებაც ის არის, რომ ახლად განთავისუფლებული ნესტან-დარგუნი უგონის



მიხეილ ღარიალი

მიხეილ ნანობაშვილი, ეგრე ახალი ხელოვნებელი საოპერო მახიობი. ამ დღეებში პარიზიდან თბილისს ჩამოვა ხელოვნებით თეატრში მონაწილეობის მისაღებად.

მას მადლით მოსილ შუბლს და უკვლავებს მოსხვეპით თვით ადგომს თავზედ უკვლავებისგვე გვირგვინს.

სულწინათ აკავებ თუბილეთს დღეს, უკვლავების მარავანდებით მოსილმა, ალტუბებით წარმოთქვა:

— გმირები ვინაჲ, ვინაჲ, ვინაჲ დღეი და ნადარაო.

დღით კვლიაშეღმა არა თუ ნახა გმირები, არამედ იხილო და იტემა ამ გმირთა ბრძოლის ნაყოფი—მიკვდრეთით ამდარა და განთავისუფლებული საქართველო. მნ თვით განცდა სიტუბოთა ამ დიდებულ აქტიისა და იხილა თავისი ნატვრა და ოცნება განსახიერებულა და ხორც-შესხმულა.

ამიტომაც მას, ვით მღვ. სვიმონ მოხრეტიელს, ამამდ შუგლია სთქვას: აღსრულდა იგი რასაც ვანტრობდი, აჲ განმიტკევე მე მინა შენოა.

გრ. კუნძულია



### ქალის უფლება

მოგონება დ. კვლიაშვილის იუმბილეთის გამო

ამ დროს, როცა სიკეთე შეგნებულა ქართველი საზოგადოებას დღესასწაულობს ოცდაათი წლის საშუალო მოღვაწეობას დე. კვლიაშვილისს, უნებლოდ მაგონდება ერთი შემთხვევა, რომელიც დეკავშირებულია პარტიკულური იუმბილეთის სახელთან.

1914 წელს ქ. მოსკოვში ჩვენი სტუდენტობის სთვისიტობაში მართლაც პარტიკულ შეხება-შემოსილით არ ირთობდა თავს. არსებობდნენ სამეცნიერო-საღიგობო-საქონო წრეები, სადაც ჩვენი სტუდენტობა იკავებოდა სუბიერის საზრდოთა, რადგან ძველი რეჟიმის უნივერსიტეტი არაფრად არ აკეთოთილდებდა ჩვენს ახალგაზრდას.

ამხარო წრე დაარსა სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა: ითხოვდნენ ლექციებს, მონაწილეობას, იმართებოდა დისკუსიები და სხ.

ამართალია წრის შემადგენლობა არ აღმოკტებოდა თანამოქალაქისა, მაგრამ მისი მუშაობა მეტად ნაყოფიერო იყო.

ერთხელ დანიშნეს დისკუსია შემდეგ თემაზე: „მინიჭეს ქართველ ქალს იურიდიული-პოლიტიკური უფლებები თუ არა?“

მე, სტუდენტ ბ. პუტალიასთან ერთად, ვიცავდი განაშენიანების პრინციპს.

მოთხოვნით მაგალითი, — ძველი საქართველოს დედა, რომელიც თავისი პირველობა და სრულიად ნაწილად გმირებს, მოეგონებოდა მწერალ ფემინისტებს: შოთა რუსთაველი, შ. ლავრა, დედო და სხ. და სურათად არ გერჩა არც ერთი მწერალი და მწიგნობარი, რომელნიც კი იცვლდნენ ქალის უფლებას, რომ მაგალითები არ მოგვეყვანა მათ მტრებისაგან.

ბრალდებულის გარეშე გამოვიდა სტუდენტი სერგო კვლიაშვილი (ახალგაზრდა ბელოვსკისტი, უფროსი შვიდი დღით კვლიაშვილის).

დღემთა, რა რისხვით გამოიღო მწერალ ფემინისტების წინააღმდეგ, მოვიყვანე ამრავლის მაგალითი, სადაც ქალებს მიერ პასუხსაცემები ადგილნი და შემდეგში არმოციების გარდა არაფერი არ გამოვიდა. მოიხსენია შექსნიანი, შოპენჰაუერი, ნიქსონი, ვენესტერი, ტოლსტოი, მანკოვი, არგობაშვილი და შრ. სხ. ანტიფემინისტები.

რასაკვირველია სერგო კვლიაშვილი ამნინი ანტიფემინისტების ჯართან ერთად შემეინფორმდა გრძობდა თავს.

ამდღა, ქართველი ქალი არ გამოხატავს თავისი გერას და ადრევე თავსურ ტრადიციებს, სოლო პოლიტიკის წარმოებას მამაკაცები მოახერხებენ.

თვით ბუნებამ უკვლავს თავ-თავისი დანიშნულება მიანიჭა, და უნებოთა ამ დანიშნულებასთან შებრძობაოა.

დასრულდა თავისი სიტუაცია ს. კვლიაშვილმა.

ის კი არ იცოდა სერგომ, რომ თავისმაც დღევანდელი ქართველი ქალი სპირიტებს უკვლების აღდგენას.

უკანასკნელი სიტუაცია დამცველს გუთობდა.

სამართლი მოგახსენიოთ სერგოს სიტუაციის შემდეგ ჩემ თავს ვერ გერძობდი მკვრად, მაგრამ უნებ მომტონდა დე. კვლიაშვილის უკვლავი მოთხრობა „მსხვერპლი“, სადაც იგი ვამბობს ჩვენში ფემინისტების მდაღებოდა.

რასაკვირველია დე. კვლიაშვილმა ბევრი მასდა მომიცა საზნაურო სიტუაციისა.

და ნუ თუ მარანეს ტანჯვის და მსხვერპლის შემდეგ, ჩვენი ბრალდებელი უარყოფს ქალთა უფლებას შეთქოა. — დაჯილდოვდა ჩემი სიტუაცია.

სერ. კვლიაშვილი არ მოლოდინ ამხარ მასისს, ნიფიც მსაჯულმა გამოიტანეს განაჩენი: „მოგეს ქართველ ქალს თანასწარი უფლება“.

ჩემი გულში მადლობით ვისხენიებდი დღით კვლიაშვილის, რომ მან გამომოყვანა უნებულ მკვლარეობიდან და მიხსნა ანტიფემინისტ სერგო კვლიაშვილისგან.

ბგ. წერეთელი





უანგარო მიჯნური მ. შავგულიძე და გალია ციკაძის ასული

მიხელო (მიშა) იოსების ძე შავგულიძე, ჯარში მოხალისეთ ვასულა, ახალციხიდან გერმანიის ფრონტზე გაგზავნილი, სარდანაც ავადმყოფობის გამო განათავისუფლეს და თბილისს გამოგზავნეს სამკურნალოდ, მაგრამ სამშობლოს რომ ვასაქირი დაუდგა, თავის ნებით იარაღი აისხა და სამშობლოს მტრებს მიჰყვა. მონაწილეობდა ბანძაში (სენ. მ.ზ.) და ლეჩხუმიკენ, სადაც ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. ეს ამბავი რო მიშამ დანიშნულმა გალია ციკაძის ასულმა შეიტყო, თავი მოიწამლა და სიკვდილის წინ შედევგი ბარათი დასწერა: „რადგანაც ჩემთვის დასაშვალა ცხოვრება და ჩემი სულის ამოთქმა გარდქეცა ტყვედღარ მოვიდარე შენთან სულის და გულის დასამშვიდობებლად“.

## ქართული კოეფიკა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 3)

არა ერთხელ დასმულა ტანჯვის პრობლემა როგორც ფილოსოფიის სამყაროში აგრეთვე პოეტურ ფილოსოფიის სამფლობელოშიც.

ამ შემთხვევაში ამ ორგვარ ფილოსოფიის გამოიკვეთაში — ჩვენ სახეობთ ვიზირებთ ა. ლუწინაისკის მოსაზრებას. პირველ შემთხვევაში ფილოსოფია, როგორც ასეთი, მეცნიერებათა დისციპლინიდან გამომდინარეობს. იგი ცოდნის შექმნის ძიების საშუალებაა. ყოველ მეცნიერების ცალკე დასვენებს იგი აერთებს, აკუმებს, სანტუს უშვებებს.

„პოეტური ფილოსოფია“ კი, სურათოვანი დასაბუთებაა ნააზოვცა, შეცნობილია. იგი უფრო შხატეა, თუ შეიძლება ეს ითქვას.

პოეტ-ფილოსოფოს მთელ ფილოსოფიას ახასიათებს ორი რამე: ეს არის მისი მსოფლიოსა და ცხოვრების ასეთი ისე შეგრძნობა (жизнь и мирo сущение) და ცხოვრების და მსოფლიოს ასეთი ისე შეგნება (жизне и мирo-понимание)

პირველი გრძნობა ეკუთვნის მკაცრის ან ფილოსოფოსის გრძნობათა კომპლექსს, მის ზოგად სულის განწყობილებას, მისგან ამა ქვეყნის მიღებასა თუ არ მიღებას, მეორეს ძირი აქვს, განიხილ-ინტელექტუალი, მისი ელემენტუალა ცნებები და წარმოდგენანი, ის ხაყუთაა უფროდ აზრის მუშაობისა. ცხოვრების და მსოფლ-შეგრძნობის ესა

თუ ის ფორმა შედგეია მკაცრის ფილოსოფოსის, გრძნობათა უფროდ სულის მოძრაობისა, მათი ძნელად მისაწვდომობისა ბინაციისა, რომელიც, დაბოლოს, შექმნის ერთ ვარკვეულ ჩამოყალიბებულ სულის განწყობილებას და რომლის თავისებურების ძირი შეფერავებულია უხალავ და რთულ ფსიქოლოგიურ ძმევებით სოციალურ კოლექტივთან. ეს მხარე გახსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებაა მკაცრ-ფილოსოფიისა.

ცხოვრების მსოფლ-შეგნება კი ახასიათებს, რასაკვირველია, ყოველ მწერალ-თეორეთ კოსს. ეს ორი მხარე ერთს ინდივიდუალში სრულ პარამნიულ განწყობილებაში არიან. ერთი იმათგანი მეორიდან აპრიორულად (წინდაწინ) გამომდინარეობს.

აი ამ სახეობით მიუდგებით ჩვენ ჩვენი პოეზიის მეტაბოტირეთ. რასაკვირველია, ყველა პოეტ-მგონანდ წოდებულს ვერ გავარჩევთ, მაგრამ ქართულ პოეზიაში არსებულ ტრადიციის გამოსარკვევად ჩვენ ვეცდებით, შეძლებისდაგვარად შევასრულოთ ჩვენი დანიშნულება.

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ ტანჯვის პრობლემა პოეზიაში. ეს პრობლემა თითქმის დღესაც კი ვადუტურელია და ვფიქრობთ სანამ ადამიანში ადარ მიკვდება ცოცხალი ბუნება, იარსებებს უჯრედები ეს პრობლემაც მუდამ იქნება, მუდამ იარსებებს, რადგან სიცოცხლის რეაბილიტატორები მუდამ იქნებიან პარალელურად სიცოცხლის დამსაბრუნებლებთან.

ჩვენს ახალ პოეზიაში სიცოცხლის პრობლემა ტანჯვის პრობლემას დაუკავშირეს, სიცოცხლე თვით მიზეზია (causa sui) (საბინოხას ტერმინი) შეიძლება ყველაფერზე ვითხოვთ; რატომ? რისთვის? მაგრამ რატომ არის, სიცოცხლე ასეთი კითხვის დასმა ყოველად მიუღებელია, რადგან, როგორც ზევით ვსთქვით, სიცოცხლე causa sui თვითლოდებულბაა.

ყველაზე მეტად ძლიერად სიცოცხლის და ტანჯვის პრობლემა ერთმანეთთან დაკავშირებულია გ. ტაბიძის პოეზიაში. აქ სიცოცხლის კითხვას განცერძობულად ტანჯვის პრობლემასთან თქვენი ვერ აღმოაჩენთ. ამით გ. ტაბიძესაც შეუძლია იამაყოს. ტანჯვის რელიგიას დოსტოევსკის შემოქმედებაში მით ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ამ რელიგიაში ღრმად ვადაზიშლა რუსის ხალხის ინსტიტუტური სოციალური მოტრევიბა და ეს მოტრევიბი ორგანიზულიად დაუკავშირდა ევროპის ცივილიზაციას იმედგაცრეებულ რუსეთის ინტელიგენციის ვანებრავ სიმდიერეს, ხალხი დოსტოევსკის მიერ შექმნილი ტანჯვის რელიგია ერთი უდიდესი მომენტო იყო სოციალურ ელემენტოა ეროს ორგანიზულ მთელში ფილოსოფიისა.

გ. ტაბიძე ჩვენში ეძიებს იმ შინაარსს და იმ სისტემას, რომელშიც მას შეეალება ეს სოციალური ელემენტები შეჭკობოს, და მოგვცეს მთლიანი დამთავრებული პოეტური სისტემა გ. ტაბიძის პოეზიაში არის ტენდენცია ამ გზისკენ და მიუღებლად უნდა ჩავთვალოთ ზოგიერთი დამფასებელთა მოსაზრებანი, ვითომ გ. ტაბიძის მოვალეობას მომავალში ის შეადგენდეს, რომ დასტოვის ძველი გზა და ახალს დაებრუნდეს. ასეთი მოსაზრება განსაკუთრებით ეყრდნობა იმ ოპტიმისტურ შეხედულებას, რომ სიცოცხლე რეალობაში პოეტურიც არის და სათაყვანოა, ჩვენ კლასიკურ თვალთა ხედვის ისრით უფროდ ჩვენს პოეზიას.



II შავი ზღვის სანაპიროს უფროსი პოდპორუჩიკი იური ლუკასძე არაშიძე.

რომელიც უგზო-უყვლოდ დაიკარგა 10 აპრილს, 1918 წ. ვაშნარში (ოზურგეთის მაზ.) ისმალეთთან ბრძოლის დროს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ჩვენი“ ვამართლოთ, „სხვისი“ ვამტყუნოთ. ჩვენ მიზეზებით ვხსნ თ ამა თუ იმ მოვლენას და შესაძლებლადაც ვცნობთ მომკვლის პერსპექტივების დაახლოვებით აქედანვე განქვერტას.

გ. ტაბიძემ თავის პოეზიაში სწორედ ორი ელემენტი აიღო. ეს არის ინტელიგენციის, როგორც ასეთის, მოტივი „სივდის ტანჯვის პრობლემა“. ვ. ხუროძე სიმართლეს დაუახლოვდა, როდესაც „ციხარტყელას“ № 2. სოციალური პირობები ახსნა გ. ტაბის პოეზიისა, ხოლო ჩვენის მხრე ვიტყვით, თვისი მსოფლ-შეგნება გ. ტაბიძემ ბოლომდე უნდა მიიყვანოს და კერძო ფორმულა მისი გაასაზოვადებრივოს. აქ იქნება სწორედ ტ-ის უღრმესი მნიშვნელობა და ტალანტი. და ამ გარემოებას იხილ უწყობს ხელს, რომ ტ-ძეს სკოლა არა აქვს, თუ აქვს ქლიერ სუსტი და უმნიშვნელი.

ტ-ძის პოეზიაში ძალაუნებურად შევა მესამე ელემენტი—ეს სულ ახალი ინტელიგენცია, დღევანდელი, რომელიც სრული ანტიტიპია ძველი ამით წლის წინანდელ ინტელიგენციისა.

მეორე წიგნი გ. ტ-ძის ნაწერებისა ამას შესაძლებლად სცნობს.

ფორმა გ. ტ-ძის შემოქმედებისა არსებითად არ განირჩევა სხვა ჩვენში კარგად ცნობილ მკონწების ნაწარმოებთა ფორმებისაგან. (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ასონანსებს).

და ამიტომ ამაზე შემიძღვ, როდესაც მივალოთ საერთოდ ჩვენი პოეზიის გარეგნულ ფორმამდე.

პ. ქაქელია

ჩვენი სახელმწიფო უკვე ჩვენს საკუთარ ძალონეს მიეყუნდა, ხოლო ხალხმა, ერმა იკარგა, და განიცადა თუ არა ეს დიადი მოვლენა? თითქმის არა!

დღეს თითოეული ჩვენგანი, ჩვენი ქვეყნის ყოველი ერთგული შვილი, რა ხელობის, წოდებისა და სქესისაც უნდა იყოს ძილშიაც უნდა ფხიზლობდეს, ნაკირს საქმეს მთელის თავისის არსებით ასრულებდეს, წმინდა შრომით მეცნიერება—ხელოვნების ტაძარს ამშვენებდეს, დაუცხრომელი მუშაობით ქვეყნის დოვლათსა ჰქმნიდეს, რათა ქვეყანა ჩვენი გაბარყინდეს ცოდნით, ქონებით მოდონიერდეს, ნიუთიერად წყლში გაიმართოს, ზე წამოდგეს და მზეს თვალეში გაუსწაროს.

ამის მაგიერ რას ვხედავთ?

საზოგადო დაწესებულებანი აიღეთ: გაუთავებელი ლაპარაკი...

სასწავლებლები—ან ცუდლუტობა, ან მეცნიერების ძიების მაგიერ ტალონიში გაუთავებელი არშიყობა, ან—ახ, ერთი ელექტრო ჩაქრესო, რომ... დროს დაფასება ხომ სრულიად მეტ ბარგადაა მიჩნეული.

რაც ჩვენს ხალხს შეუძლიან, სამწუხაროდ, დღეს მისს მეთედს არ იჩენს. თითქოს უმეტესობას უქნარობის სენი შეეყარაო,—მინდერის მშრომელი, ქარხნის მუშა, მოხელე, მასწავლებელი თუ მოსწავლე მხოლოდ გარეგნულად ასრულებს თავისს მოვალეობას, ქვეყანა კი იფრტება...

ვაი იმ ქვეყანას, სადაც პატიოსანი და ბეჯითი შრომა არ ბატონობს... ვაი, იმ ხალხს, ვინც მუყაითი შრომის წმინდა ოფლში არ ბულრაობს საქვეყნო დოვლათის შესაქმნელად, მეცნიერება-ხელოვნების ასაცუვებლად.

ჩვენი თავი ჩვენ მხოლოდ მაშინ მოგვეყუნება, როცა თითოეული ჩვენგანი თავისს მოვალეობას პირნათლად შეასრულებს...

და აქეთკენ მოეფურადებთ ჩვენის ქვეყნის ყველა ერთგულ შვილს, ვისაც საქვეყნო ზრუნვა წმინდა მტყებად მიუჩნევიდა და სამშობლოს თავისსუფლება მხოლოდ ცარიელ ბეგრად არ უჩანს...

ძილშიც იფხიზლე!—აი რას ჩაგვძახის ჩვენი დრო.

ექიმი შედოკანია







ქართული კლუბის სენაზე შაბათს თებ. 7 ახლ-  
გახდა ქართ. მსახიობებმა წარმოდგინეს ნ. შიუკაშვი-  
ლის „სულელი“.

ზირველ რიგში აღსანიშნავია მ. ჭაურელი. გარ-  
ვეულო დიქტორი, გრძობა: — განცდა, მხატვრული მიმიკა  
და უმთავრესი შეთვისებულ შესწავლილი სსსსსს სკო-  
ლა. აი, მისი დარსველა მსახიობობის თვისებები. მან უნა-  
კლულოდ გადმოგვცა ზეისის მთავარ გმირ გიორგი ბა-  
რათაშვილის სულეირი განცდა. როლი, როგორც სხვები  
ამ ზეისში, მართალია და ნიჭიერი მსახიობი უნდა იყოს  
მისი ამსრულებელი, რომ მთავარის კარგი შთაბეჭდი-  
ლება. ჭაურელის ნიჭი: დასძლია ეს ნაკლი და თვისი  
შეხიერი თამაშით გადაჭრის ეგულა ამ რომლის ამსრუ-  
ლებელ ქართველ მსახიობთ. განსაკუთრებით კარგი იყო  
უგანსხვებულ მოქმედებაში, როგორც სიჭაურელის გრძობ-  
ბა მისი უსუსტებს ტურორისტულ ენერჯიას.

მ. ჭაურელი — მუტად საშიშ მოვლენა ჩვენს სათა-  
ვრო ხელთაგან. შა და საზოგადოების მეტი უფრდლების  
ღარისა.

აღსანიშნავია ქ. ანჯაფარიძის ასულიც. გრძობა-გან-  
ცდა, მიმიკა, ტენიკა: — ამ ახლგახდა მსახიობ ქალს შუე-  
ნიური აქტს. მხოლოდ აკლია ხმის სიძლიერე, წინდალავს  
ერთფეროვნებაც. შავრამ, იმედია, შემდგომი მსახიობი  
გაყარეოშობით ამ ნაკლს აიცილებს.

კარგი იყო ა. ქაიჭაია, სუსტობდა ძნელად, თუმი-  
ცა მას, როგორც ნიჭიერ მსახიობს მეტი შეუძლიან და  
მოეთხოვება კიდევ.

ღანრჩხები ანსამდს ზელს უწყობდენ. ზოგთ რო-  
ლები არ იცოდენ. გულსკლავთა, რომ ისეთი ნიჭიერი  
მსახიობნი, როგორც მ. ჭაურელი, ანჯაფარიძის ასუ-  
ლი, გელვანს, ა. ქაიჭიძე და სხ. საქართველოს დედა-  
ქალაქში უზინაოდ არიან: კარგი იხიშდა კლუბის მამასხ-  
ლისათა ბჭობა, რომ რუსუ-კონტრეტების და ფარსების  
მეტიერ, მათველ ახალგახდა და დამსხხურებულ მსახიო-  
ბთა წრე შედგინას და ამითა მატარა ბინა ში-ცა მათთვის,  
ვიდრე ახლად არჩეული დრამატოული საზოგადოების გამ-  
გებობა არ გადაწყვიტუდა ჩვენი დრამის და კერძოთ სა-  
თავტრო შენობის სკოთსხ.

ამითი იგი დიდ მადლობას დაამსხხურებდა ქართველ  
საზოგადოებრივს, რომელიც აგრე დაობლებულია ქარ-  
თულ დრამით.

არტიტიული საზ-ის თეატრში თებ. 9 სიმკვ მიწე-  
რად მსახიობ ი. ტურ-გრიგორიანის 50 წლ. იუბილე

გამართა. დიდგო საუნდუიანის ზეისა „პეპო“. მართა-  
ლია საუნდუიანის ზეისები ქართულ სენაზე უკვე აღსანიშ-  
ნავია, შავრამ სომხის მსახიობებზე გვარანდა ჩატარეს.  
განსაკუთრებით კარგები იყვენ თვით იუბილიარი — არუ-  
თინას და აბელიანი — პეპო.

ბოლოს გამართა მილოცვები. იუბილიარი სენაზე  
გამოიყვანეს დამსხხურებულმა მსახიობებმა ვასო აბაშიძემ  
და ტურ-დუიანისებმა. იაკუ ტურ-გრიგორიანს მიუღია  
50 წ. ემსხურება და საქართველოში სომხურ და ქარ-  
თულ სენებს; განსაკუთრებით სახალხო სენას და ამო-  
თი დამსხხურა გულწრფელი მადლობა, ამ გრძობამ იფიქრ  
მილოცვებში მიულოცეს მრავალმა საზოგადოებამ და  
ამხანაგებმა; ქართველების მარცხ მიულოცეს დრამ. სა-  
ზოგ. სახელით ა. ფაღავა, შიქრალით კავში. კ. ა. დრო-  
ნიკაშვილმა, მსახიობთა კავში. დ. ძნელად და „თავტრი-  
ცხიერებას“ რედაქტორმა იოსებ იმედიაშვილმა. განსაკუ-  
თრებით აღტაცებით მიუგება დამწერ საზოგადოება ჩვე-  
ნი სენის ვეტერანს, უბინოდ დარჩენილს ვასო აბაში-  
ძეს და იოსებ იმედიაშვილს უგანსხვებულმა თვისი მსა-  
ხალშებელი სიტყვა სომხურად დათავა და იუბილიარს  
სულამ უძღვნა, როგორც ხელთაგანის უნჯარო მუშაკს  
და ხელთაგანით ერთა სოლიდარობის მოტრფილეს. იუ-  
ბილიარზე მშენიერი სპეციალური სიტყვა წარმოსთ-  
ქვა და სომხურ თეატრის ასაშენებლად 50 ათასი მან.  
შესწიათ. „მეტი კი არა მჭკნის“ სიტყვა იუბილიარმა.

ჯილადი

სახალხო თეატრი თბილისში ერთადერთად რა-  
მულად ასულდგმულეს ხელთაგან სათავტრო ხელთაგან-  
ბას. სენის მოკვართა სასახლო უნდა უნდა ითქვას,  
რომ მათმა შემაბამ უფრე ნყოფი გამოიღო. ზეისები  
შეღარებთ უკეთესი ანსამბლით იღვამს, მხატვრული  
მოღიანობა. მოღიანი და ხალხიც გამოიფიდი. სახლი  
კი მუღად დამიდა ესწრება. ზოგჯერ ხუთმთხიან ბი-  
ლეუბებში 50 მან ასდევს. სახალხო სახლის დარბაზი  
ვეღარ იტყვის მსურველთ და ამას ანჯარობი უნდა გაწიოს.

თებერ. 8 წრემ წარმოდგინა „სიძე-სიმამრი“ და  
„ტყუისა შიქრის“. ნ. გოლირძის, ვ. მინდიაშვილის,  
თავგებობის, ნინოხის და მარგველაშვილის შემხატობი-  
ლებულმა აღწერლებამ „სიძე სიმამრი“ საუნდოებლად ჩატარა.  
„ტყუისა შიქრის“ ში. ნ. გოლირძის ვ. ანჭილი  
შეღარებულნი იყვნენ ვლადილამი თითქო ზოგან როლე-  
ბა არ იცოდენ.

მთელ დარბაზში ხარხარი იყო, ტყუარსად. — მიდ-  
ღობის დინსია წრე ასეთი შუკითი შემაბობისთვის.

ურავანო

\*) ავტორის თხოვნით უკველილ იბეჭდებია. რედ.



# ი ა რ მ უ ქ ა უ შ ი

# გივლითგრაფია

(სცენა)

იარმუქაში მეთევზეებს თევზი ბლომით მოსვლოდათ და ერთმანეთს ეჯიბრებოდენ გაყიდვაში, თანაც ყვიროდნენ:

— ამა, ლოქო... ამა ლოქო, ლოქო, ლოქო!... გირვანქა ათი მანეთი—დესიტ რუბლი, ათი მანეთი დესიტ რუბლი... ოხ, ოხ, ოხ, რა ლოქოა, რა ლოქო, სამ პრიშოლ სამ უშოლ, თავის თავათ ხტუნობენ—თამაშობენ!... პაპა, პაპა, იფ, იფ, ამის მკამელი ან დღე მოკვდება ან ღამე... სიტყვა არ დათავებინა ვილაცამ და ჰკითხა:

— პაჩო მფუნტ?  
— აღინციტ რუბლი, გოსპოდინ, ნო დღო ვას დესიტ რუბლი.

— ჩტო ტაქ დოროგო?  
— გოსპოდინ ნა დესიტ რუბლი ეტა რაზე დოროგო, ესე როგონო კაც 10 კობეკი.

— ხარაშო, სესტე მნე დვა ფუნტა.  
— სიჩას გოსპოდინ. ტოოო ტიგრან, შაქრო, ორი გირვანქა ლოქო თავის კარგი თავით შოართვი, — დღუძახა მეთევზემ ბიჭებს; იმათაც სისწრაფით აუწონეს და მიაართვეს თევზი,

— რა უბედურებაა, ამოდენა თავის დაწონვა იქნება ორ გირვანქა თევზზე?

— ჩტო ვი გოგორიშ გოსპოდინ, სცა თავი არ არის, იქ ბოლოც არ ვარგა. თუ გინდათ გემო გაიგო.

— კაკი ჩორტ? მე რა გოსპოდინი ვარ, გოსპოდინები თქვენა ხართ, რომ ასე ძვირად ჰყიდით და ხალხს ტყავს აძრობთ.

— უკაცრავოთ, ამხანაყო, მე რომ ძვეგელოვები და გოგინოვები მუქათათ მძძღედენ, მაშინ ოთხ მანეთთ მოგაცილიდი გირვანქას.

— თუ ამხანაგები ვართ, მაშ მოდი ქონება გაციყოთ.

— ვა, ვა, ვა! ეს რა ბალშევიკური ვინშაა! კარგი, მამა ვიცხონდება დაა... ორი გირვანქა თევზი გიყიდნია, ქონების შუაზე გაყოფას მიპირებ. შენ რომ ბოლშევიკების ამხანაგების კომიტეტი იყო, იარმუქას ხომ სამ დღეში დაჰკეტავ? ხელი აიღე პოკოლუსტა. თევზი ეგ არის; ფასიც ეგ აქვს, ხოჩიშ ვაზიშ—ხოჩიშ ნეტ დაა...

მყიდველმა ფული მისცა და თან ბურტყუნით წავიდა: თქვენნი ვანკიოების დღეც ჩქარა დადგება და მეც მალე გნახავთ წურბელებს ერთად ფრთებ ჩამოშვებულებს...

საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო პროფ. ა. ეულფელისისა. ჯიბიაში გიმნაზიის დირექტორის სერ. ცაგერეიშვილის მიერ გადმოკეთებული და დასურათებული.

საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორებისა და დამოუკიდებლად არსებობასთან ერთად საქირია და აუცილებელ საქირიებად შეიქმნა სხვათა შორის სკოლის გაერთიანებაც, რაც უპირველესი პირობაა ჩვენი შომაგალი კულტურულ და ზნეობრივ აღორძინებისა... თუმცა თავიდანვე დაიწყო ამ მხრით მუშაობა, მაგრამ ზოგიერთი საშუალებანი აფერხებდა საქმეს: ქართველ მასწავლებელთა გაერთიანებულ სკოლებისთვის მოუშხადებლობა და ქართულ სახელმძღვანელოთა უქონლობა. როგორც სჩანს ეს დაბრკოლებებით მუშაობა, ძალიან სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართულ სახელმძღვანელოთა შედგენა და გამოცემა მრავალი საქირია სახელმძღვანელო უკვე არსებობს ქართულ ენაზედ.

ჩვენ წინ ძვეს ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო, რომელიც საქირია საშუალო სასწავლებელთა სახმარებლად, შედგენილია ცნობილ პროფ. ვულფიუსის წიგნის მიხედვით, რომელიც არსებობს რუსულ ენაზედ. იწყება რომის იმპერიის მე IV საუკუნიდან (ფეოდალურ-კათოლიკური ევროპის ზრდა) და თავდება კათოლიკური ეკლესიისა და პაპების ბატონობის დაცემით. დაწერილია მოწაფეთათვის გასაგებ და პარტივი ენით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გრამატიკულ გადახვევებს. მოკლე, მაგრამ ნათლად გაშუქებული ყოველი ლირსშესანი. შნავი საკითხი საშუალო საუკუნისა მაგრამ წიგნს ზოგიერთი ნაკლიც აქვს. ის არ არის სრული, როგორც თვით შემდგენელი აღნიშნავს თავის ბოლოსიტყვაობაში, ამ წიგნში საშუალო საუკუნის ხელოვნებაზე არაფერია ნათქვამი იმ დროს როცა ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს საშუალო საუკუნის შესწავლისათვის.

ამიტომ არ შეიძლება მხოლოდ ამით დაკმაყოფილდეთ და უნდა გეცადოთ უფრო ფართედ და მრავალ მასალის და წყაროების საშუალებით შესწავლილი გამოცემა მიეწოდოთ ჩვენ სკოლებს. იმედია ბანი ცაგერეიშვილი მომავალში შეაგესებს თავის წიგნს და უფრო ვრცლად გააშუქებს თვითიველ საკითხს საშუალო საუკუნისას.

წიგნში მრავალი სურათია მოთავსებული, შეიცავს 136 გვერდს. სუფთად და კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი და ღირს 30 მანეთად. გამოცემა ეკუთვნის თ. ა. მთავრიშვილისს და აშხ. და, შედარებით, არ არის ძვირი.

წითელ-რაზმელი





ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია. მოკლევადიანი პუნების მეტყველების შედგენილი თბილ. ვაქთა IV გიმნაზიის ლიტერატორის მ. ყ. ხალაიშვილის მიერ.

ცხებრეშვილის „ეკრპა დამბოზა“. ს. ხლო მომავალს ქართულ ენაზე დაადგინა როსინის ოპერატორის დალაქა.

**მომღერალ ბარბოტონ ქარცვაძის** დებიუტები ს. ხლო მუწო თეატრში აღანიშნავი: ქარცვაძე თითქმის სრული საპრო მასხარობა.

**თბილისში მოვლიან** მომღერალ სომინაძეს. **სომხ მწერალს** და დრამატურგს ტერაგოიორიანს შეუთრულა 50 წელ. საზოგადო მოღვაწეობისა. ნიკი ბიბიე ვაღინაძეს თებერვლის ყ

**ბათუმში** ნინოვას გაიმართა ტრადიციული ქართული სლა'ო ი. სარ ჯიშვილი, ინაშვილის, გრიშაშვილის და თავენას მონ წილებით. შემოსავალი ორ მილიონ მდნა. რომელიც გადაეცა „დეკობლობიერ ქართულ საზოგადოებას“.

**ხვ. წერეთელმა დაამთავრა** შრომა: სამი უმთავრესი თეზისი და კლინიკის შემოქმედებისა: „სოფელთმშენებისა და ფემინიზმი“. კრიტიკ. განხილვ. სწორს ახასიათებს „ქართული ინტელიგენციის ტარღეობა“.

**დ. კლდიაშვილის იუბილეს** გამართვა განუზრახვთ ქუთაისის, ბათუმის, თელავის, თბ. მუშათა ცენტრ კლუბში, ქართულ კლუბში და სხ.

**დღეს საღამოს** სახელმწიფო თეატრში და კლდიაშვილის ამ წ. მოღვაწეობის იუბილედ იმართება. დღესასწაულის შედეგ ქიმიურიში საპატრიო ნადიმია განზრახული.

— **ახლო მომავალში** ჩვენ ჟურნალში დაიბეჭდება მირინიშვილის საოპეროდ გამზადებული ლიბრეტო „პარტეტი“, რომელიც დაწვრილია დეტუ მეგრელისა და არჩილ მაკვარიანის პოემების (პრომეთეზე) მიხედვით ლიბრეტო გადაეცა კომპ. ჟ. ფოცხვერავილის.

— **თებერვალში** გამოვა ახალი სალიტერატურო ფურცლები „თებერვალი“ ახალგაზრდა მწერალ-პოეტთ მონაწილეობით.

— **ბ. მირინიშვილს** მიმდინარე წელში ურულდება მწ წ საპედაგოგიო და სამწერლო მოღვაწეობისა.

— **ახალი წიგნი** დაიბეჭდა და გამოვა პროფ. იაკო შანიძის წიგნი: სუბიექტიური პრ. ფიქსი მეორე პირის და ობიექტიური პრეფიქსი მესამე პირის ქართულ წმინდში. გამოცემა თბილისის უნივერსიტეტისა.

**ქ. თბილისში ჩამოვლიან** მრავალი რუსი მსახიობნი. მხატვრები, მემსულები, ლიტერატორნი, რომელნიც გამოექვენ ბოლშევიკებს.

**კაპელას კონცერტი** გაიმართა ქართულ კლუბში თებერვლის 5-ს, სრული ახალი პროგრამით. ახლო მომავალში სახელმწიფო თეატრში კაპელა გამართავს დიდ კონცერტს. ს. ულხანიშვილის ოჯახის სასარგებლოდ, რომლის მდგომარეობა უმწუხრა.

**შემოწირულება**  
„თეატრი და ცხოვრების“ სახარგებლოდ I, პროფ. ხაბურზანიას: ვან 1000 მ. 2, ვასილ ივ. კერესელიძისგან 100 მ. 3, ნიკ. კერესელიძისგან 100 მ. 4, სერგო კერესელიძისგან 100 მ. 5, გიგო კერესელიძისგან 50 მ. 6, ნიკოლოზ ხომასტრისისგან 100 მ. 7, ივ. სოლო, ცეცხლადისგან 50 მ. 8, ჩუკურთის სკენის მოყვარულებს შ. გარისკელის თაოსნობით არსენალში გამართულ წარმოდგენიდან 3000 მან.  
შემომწირველთ გულთადა მადლობას ვუძღვნი.

რედ:

ლარი



### შპრილი ამბავი

**დ. კლდიაშვილის იუბილედ** გამართება დღეს თებ. 15-ს სახელმწიფო თეატრში შემდეგი პროგრამით. 1. ივ. გამართის რეფერატი, 2. მილიკვანი, 3. უბედური, ვიდ. I მოქ. 4. დარსპანის ვასაქორი, კომ. I მოქ. მონაწილეობენ საეტიკოსო ძალნი.

**ქართულ კლუბში** ქართული წარმოდგენები აღარ იმართება. ქართველი მსახიობნი ზოგი უსაზღვოდ დარჩა, ზოგი სახალხო აუდიტორიებში დაიფიქსტენ.

**ქართველ სტუდენტთა დღემ** ბრწყინვალედ ჩაიარა. მარტო თბილისმა მისკა ორას ათასზე მეტი შემოსავალი.

**ქართველ მწერალთა** ყრილობა გაიმართება ქ. თბილისში თებ. 29.

**თბილისის ქალაქის გამგეობამ** გადასწყვიტა იძულებით ჩამოერთვს იუზუაშვიტს არტისტიულ საზოგადოების თეატრი.

**ღირსოვრმა სტოდერმანმა**, რომელიც სათავეში უღვია ქართულ საოპერო სტუდიას, მოკლე თავისი ცოლი, სტოლორმანი შეაპყრეს. ამ ამბავმა ქართველი საზოგადოება დააღონა.

**ქართველ მხახიობებმა** თეატრის 4-ს, არტ. საზ. შენობაში დასდგეს დ. ერისთავის „სამშობლო“.

**ლანჩხუთის** არსებული საეტიკო დრამაში გადადის ლანჩხუთის სარაიონო გვარდის შტაბის ხელში **მხახიობა** ამ. ჯაყელი მიწვეულა ლანჩხუთის სარაიონო გვარდის თეატრის რეჟისორად.

**ახლო ხანში** ქ. პარიზიდან (საფრანგეთიდან) დაბრუნდება ოპერის მსახიობი ცნობილი მომღერალი მიშელ დაბრილი (ნანობაშვილი) რომელმაც თავის ვასტროლებით ამ 7-8 წლის წინათ აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში.

**ეკრანის გამოჩენილი** კომედი მის. ჩენოვი ჩამოვიდა და გამართა რამოდენიმე წარმოდგენა.

**სახელმწიფო თეატრის** ოპერის ამხანაგობა ამხანაგდეს ქართულ ორიგინალურ ოპერას კომპოზიტორ კ. ფო-

122





ჩ. ა. შ.

იუსტიციის მინისტრი არხენიძე.

თებერვალში გამოვა ახალი სალიტერ. უფრნალი

# „პარნასი“

№ 1

მონაწილეობენ: (თანამშრომელნი ანბანთა რიგზე)  
 აქილესი, გერგესელი კ., გომართელი შ., თუთა გრ.,  
 მაქავარიანი არჩილ, მეფანდურე შალვა, მჭედლი-  
 შვილი ი., პარნასელი ლენა, რატიშვილი კ., რუშა-  
 ჩელი ს., უალიდი (თარგმანი), ძიძიგური ლ. ყან-  
 ელი ჰერკულეს, მხატვარი მ. თოიძე.

რედაქტორი: ალვა მეფანდურე 3-7

## ახალი წიგნი ყარიზისა

ამ დღეებში გამოვა ყარიზის ახალი შრომა „წითე-  
 ლი წიგნი“ რუსულ ენაზე, რომელიც შეიცავს და-  
 ახლოვებით 250 გვერდს. წიგნის შექმნის მსურველთ  
 უნდა მიმართონ: 1. წერაკითვის გამავრცელებელ  
 საზოგადოების მდლაზიაში რუსთაველის ქუჩაზე, 2.  
 კენკაძის წიგნის მდლაზია „ახალ სიტყვაში“ და მ.  
 ქართველ ბეჭდვითი ამხანაგობის“ სტამბაში რუს-  
 თაველის პრ. № 26. 3-1.

პირველხარისხოვანი რესტორანი

# შამკანი!

ამბ — ბა ძმთა კერესელიძების და ბაქრაძეთა  
 (რუსთაველის პრ. სახლი გორგოლაშვილის № 16)  
 ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის  
 სასტუმროდ.

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, გვ-  
 რიოიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზა-  
 რეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი.  
 რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.  
 (წლიური)

## ახლად დამოუკლად და დაუკრივად

წიგნის მალაზიებს გასაყიდოთ

### „არითმეატიკულ ამოც. პრაგული“

(ნაწევრები) ს. დთეშიძისა.

საწყობი თბილისში ქართველ ბეჭდვითი ამხანაგო-  
 ბის სტამბა, რუსთავ. პრ. № 26 5-1



შალვა ალ.-მეხსიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.